საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებულ პირებს

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მაგისტრალურ/ძირითად (“Trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება

მოწვევის ოფერტა

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის № 671/9 გადაწყვეტილების შესაბამისად)

ოფერტის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები:
(გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის შესაბამისად)

* ზესტაფონი-თერჯოლა
* ქუთაისი-მარტვილი
* თბილისი-კაზრეთი
* თბილისი-ქუთაისი
* თბილისი-ფოთი
* ფოთი-ბათუმი

დაშვების ტარიფები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად)

ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან დაშვების მომსახურება 1 (ერთი) ბოჭკოს მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი/კმ	მონაცემების ტრანსპორტირების მომსახურება 1 (ერთი) მბიტ/წმ არხის მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი
14.90	0.50

ანგარიშსწორების პირობები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

* პირველადი გადასახდელი, შესაბამისი მომსახურების ყოველთვიური საფასურის სრული ოდენობით, ექვემდებარება გადახდას ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, წარმოადგენს სადეპოზიტო შენატანს და ჩაეთვლება აქცეპტანტს მომსახურების ბოლო თვის საფასურში ან დაფარავს აქცეპტანტის დებიტორულ დავალიანებას, როგორც განმარტებულია ქვემოთ;
* ყოველთვიური ანგარიშსწორება ხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, საანგარიშო თვის დასრულებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ოფერანტი განაგრძობს აქცეპტანტის მომსახურებას იმ პერიოდში, რომელსაც დაფარავს სადეპოზიტო შენატანი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში დავალიანება არ იქნება სრულად აღმოფხვრილი.

ქსელთან დაშვების განხორციელების პროცედურები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.გ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

* მომსახურებით სარგებლობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება საფირმო სახელწოდება, რეკვიზიტები, ქსელის მონაკვეთი, მომსახურების სახე, მოცულობა და აქტივირების სასურველი თარიღი. განაცხადს უნდა დაერთოს ავტორიზაციის მოწმობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. განაცხადი ჩაითვლება მიღებულად, როცა მასზე გაიცემა მიღების დასტური, ელექტრონულად: office@foptnet.ge ან ფიზიკურად: თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას 42, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი".
* განაცხადის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მოკვლეული იქნება მისი დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობა და მოხდება განმცხადებლის ინფორმირება შედეგების შესახებ. თუ განაცხადი არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, რეაგირების ვადა აითვლება აქცეპტანტის მხრიდან დაზუსტებული განაცხადის წარმოდგენის მომენტიდან.
* აქცეპტანტის განაცხადის დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მხარეები, ორმხრივად შეთანხმებულ დროს, განახორციელებენ პარამეტრების ტესტირებას 24-საათიან პერიოდში.

ფართებზე დაშვება და მომსახურება

(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.დ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

* თავისუფალი ფართის არსებობის პირობებში, აქცეპტანტის დაშვება შესაძლებელია თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.42 და ზესტაფონში, წერეთლის ქ.1, სადაც ოფერანტი უზრუნველყოფს არასანქცირებული შეღწევისგან დაცვას, აქცეპტანტის მომსახურე პერსონალის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით დაშვებას, ელექტრულ კვებას ცვლადი დენის წყაროებიდან და კონდიცირებას, რის საფასურს აქცეპტანტი გადაიხდის მრიცხველის ანარიცხების შესაბამისად.
* ოფერანტის ფართებზე აქცეპტანტის მოწყობილობის განთავსების ყოველთვიური საფასური, გაბარიტების მიხედვით, გადასახადების ჩაუთვლელად, შეადგენს: 1მ x 1მ x 1მ ტოლ ან ნაკლებ გაბარიტებზე 700 (შვიდასი) ლარი, ხოლო ნებისმიერი განზომილების ყოველ დამატებით 0,5 მ-მდე100 (ასი) ლარი.

ხელშეკრულების გაფორმების ვადა

(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ე) ქვეპუნქტის შესაბამისად)

* აქცეპტანტისთვის სასურველი მომსახურების უზრუნველსაყოფად ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, შეტყობინებასთან ერთად მას შესავსებად გაეგზავნება მომსახურების ხელშეკრულების ტექსტი, რომლის ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ შესაძლებელი იქნება მომსახურების დაწყება.
* მომსახურების/ანგარიშსწორების დაწყების თარიღი აისახება აქტში, რომელიც უნდა გაფორმდეს მომსახურების დაწყებისთანავე.
* შესაძლებელია, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს სადეპოზიტო თანხის ჩარიცხვამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ოფერანტისათვის წარდგენის დღიდან.

დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურა
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

* აქცეპტანტისთვის მომსახურების მოცულობის გაზრდა განხორციელდება წერილობით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დაზიანებული კაბელის აღდგენის ვადები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადები არ აღემატება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კომისიის მიერ დადგენილი რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.თ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

აქცეპტანტი შეავსებს მისთვის გადაცემული ხელშეკრულების ტექსტს, დაბეჭდავს და გაუგზავნის ოფერანტს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დამოწმებულ 2 (ორ) ეგზემპლარს. ოფერანტი დაუბრუნებს აქცეპტანს ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულების 1 (ერთ) პირს.

ნაწილი 9. ოფერტის მოქმედების ვადა
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ი) ქვეპუნქტის შესაბამისად)

წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია 2019 წლის 01 მაისიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ, ოფერტის პირობები რჩება ძალაში, ვიდრე ოფერანტი არ შეიტანს მასში ცვლილებებს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის
ქსელი-ფოპტნეტი“-ს დირექტორი ილია ინჯია

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.42
ტელეფონი: (032) 2779512
ფაქსი: (032) 2329754
ელ.ფოსტა: office@foptnet.ge